

ნახევარი

2

ISSN 0132-6015
84
საქართველოს
ბიბლიოთეკა

ნახ. შ. ლელაძისა



— თუ რამის მოცემას აპირებ, იცოდე, ამაზე უკეთეს მომენტს ვერ ნახავ!




— გაგონილა?! ბაზარში გამატყავეს, რესტორანში გამატყავეს, ავტობრო-
ფილაქტორიაშიც ტყავი გამაძვრეს!..
— თუ ძმა ხარ, ერთი ეს მითხარი, შენ თვითონ სად შოულობ ამდენ
ტყავს?

მუც მუცლს გსაუბრო!

ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, ეს ანდაზა უჭველად გრძელფეხება ადამიანის მოგონილია. ტყუილსა და ჭორს მოკლე ფეხები რომ ჰქონდეს, ასე სწრაფად ივლიდა და ელვის სისწრაფით შემოურბენდა ჩვენს დედაქალაქს, მერე კი მთელს ჩვენს რესპუბლიკას? ის კი არა, მეცნიერები იმ დასკვნამდეც მივიდნენ, რომ ტყუილს, გრძელ ფეხებთან ერთად, ფრთებიც აქვს და საკმაოდ დიდიც! თუ არ გჯერათ, დადექით რუსთაველის პროსპექ-


ტის თავში და ჩაატარეთ ასეთი ცდა: მოიგონეთ რაიმე ტყუილი და უთხარით პირველივე შემხვედრ ნაცნობს. ოციოდე წუთის განმავლობაში თქვენი ტყუილი თვითონვე დაგიბრუნდებათ შელამაზებულ-გაკაკლუცებული, შეიძლება ველარც იცნოთ!
მაინც რამდენნაირი ტყუილი არსებობს ამქვეყნად, მაინც რას არ იტყვის კაცის ენა! აბა, დღეს ვინმე დაიჯერებს, რომ სავაჭრო ორგანიზაციებში მომხმარებელს წონაში აკლებენ, ხურდამი ატ-

ყუებენ, ზოგჯერ დაძველებულ პროდუქტს სთავაზობენ და სშირად დეფიციტურ საქონელს უმალავენ? ღმერთო, დიდებულო! ჭორის გამავრცელებლები იქამდეც კი მივიდნენ, რომ იმ მაღაზიებსაც არ ინდობენ, სამამულო ომის ინვალიდებს რომ ემსახურებიან! ფაქტები გნებავთ? კი, ბატონო, ინებეთ: ახლახან გავრცელდა ხმა, რომ თბილისში შერჩევით ცამეტი ასეთი მაღაზია შემოწმდა და ცამეტივეში სავაჭრო წესების დარღვევის 45 შემ-



თხვევას ჰქონდა ადგილი! მოდი და დაიჯერე, თან მაღაზიებსაც რომ ასახელებენ!.. მაგალითად, თბილისის კალინინის რაიკვებვაჭრობის (დირექტორი - **პ. ლ. მ. ი. ძ. შ.**) მეთხოვეტე მაღაზიაში (გამგის მოვალეობის შემსრულებელი **ლ. ა. ს. ლ. ა. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი.**) გამყიდველმა **მ. დ. უ. ნ. დ. უ. ა. მ.** მომხმარებელს 62 კაპიკი აართვა ზედმეტი, მოლარე-კონტროლიორმა **პ. შ. ა. პ. ნ. ა. ზ. ა. რ. ო. ვ. ა. მ. კ. ი.** - 20 კაპიკო! ამ მოლარე-კონტროლიორს სალაროში 93 მანეთი აღმოაჩნდა «**Минус кассового аппарата**». ეს რუსული სიტყვებიც რა მოხერხებულად არის ტყუილში ჩართული, რომ კაცმა ადვილად დაიჯეროს! ახლა რიცხვებიც რა დამაჯერებლად გამოიყურებიან: 13, 45, 15, 62, 20, 93! სპორტლოტოს ითამაშებდა კაცი! ამ მაღაზიაში იყიდებოდა მოძველებული „ვაფლი“ და ძეხვს „პენიკი“ არ ჰქონდაო (შვილიშვილებს გეფიცებით, თუ ვიცოდე, ეს „პენიკი“ რას ნიშნავს!). მერეო, პროდუქტების შემოსვლა-რეალიზაციის ყურნალი არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშიაო, ნეტავი ვინ არის სულ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, ან ეს რა პირში წასაძახებელია?!

კიროვის რაიკვებვაჭრობის (დირექტორი - **ლ. გ. უ. რ. ა. მ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი.**) ოცდამეორე მაღაზიაში (გამგე - **ი. ჯ. ა. ნ. დ. ი. რ. ი.**) გამყიდველმა **მ. ა. ნ. დ. დ. უ. ლ. ა. ძ. ა. მ.**, მყიდველის ვაცურების ფაქტი რომ მიეჩქალა, შემოწმებულ კომისიას 4 იმპორტული ქათმიდან 2 ხელიდან გამოსტაცა, სხვა ქათმებში შურია და ამით ხელი შეუშალა სიმართლის დადგენასო! ქათამი რა არის, იმისი სიმართლე რა იყოს, ან რა ფარშავანგი ისა მყავს, წამდაუწუმ აიწონოს?! კაცს მოხერხება არ უნდა დაუფასო?! **მ. ა. ნ. დ. დ. უ. ლ. ა. ძ. ა. მ.** ასე რომ არ მოქცეულიყო, კომისია ხელახლა სომ აწონიდა ქათმებს, მერე სომ დაუწყებდა, წონაში აკლია, საბჭოთა ვაჭრობის წესებს არღვევ და მომხმარებელს ზედმეტს ახდევინებო? შეიძლება ისიც ეთქვა, სინდისი სად დაკარგეო?! რამდენი კაცის სინდისს კარგავს, ყველამ რომ იცოდეს ადგილი, სად კარგავს, სად წავა?!.. ამ მაღაზიაში გამყიდველ **დ. ა. კ. ო. ვ. ა. მ. ს.** ცოტათი ზედმეტი გამოურთმევია მყიდველისთვის,



წადი ახლა და გაიგე, რამ შეუშალა ხელი, ბევრად მეტი რომ გამოურთმეია?!

ტყუილი გამიგონია, მაგრამ ასეთი არა: სამამულო ომის ინვალიდებისათვის განკუთვნილ მაღაზიაში საქონელს იმათზე ყიდვიან, ვისაც ომში მონაწილეობა არ მიუღიაო! ორჯონიკიძის რაიკვებვაჭრობის (დირექტორი - **ნ. რ. ო. ს. ო. მ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი.**) ოცდამეცხრე მაღაზიაში (გამგე **ბ. ო. კ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. ი.**) პროდუქტებს ადრეც ყიდდნენ და ახლაც იმათზე ყიდვიან, ვისაც სამამულო ომი მხოლოდ კინოფილმებში თუ უნახავთო! მერე და, რა მოხდა?! იმ ადამიანებს ჭამა არ უნდათ, ვინც კინოფილმებს უყურებს?! განა მათ ნაკლებად უყვართ სამშობლო და საჭიროების შემთხვევაში მკერდით არ დაიცავენ მას?! ეტყობა, ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ ოქტომბრის რაიკვებვაჭრობის (დირექტორი - **ს. კ. ა. რ. ა. ს. ა. ლ. ი. ძ. ა. მ.**) ოცდამეთვრამეტე მაღაზიაშიც (გამგე - **დ. ი. ო. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი.**), სადაც პროდუქტებს თან ომის არამონაწილეებზე ყიდდნენ, თან სურდაში აკლებდნენო! ღმერთო, ნუ გამაგიჟებ და ნუ დამაჯერებ ამ ამბავს!

თურმე ნუ იტყვი და, სხვადასხვა სახის დარღვევები და ნაკლოვანებები აღმოჩენილა ლენინის რაიკვებვაჭრობის (დირექტორი - **ლ. ლ. ო. რ. თ. ა. ი. შ. ა. ნ. ი. ძ. ა. მ.**) ოცდამესუთე მაღაზიაში (გამგე - **თ. თ. ი. თ. რ. უ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი.**), „თბილტანსაცმელვაჭრობის“ (დირექტორი - **დ. ბ. უ. ა. ძ. ა. მ.**) ოცდამეორე, ოცდამეცხრე და ოცდამეთორმეტე მაღაზიებში (გამგეები: **ვ. ხ. ვ. ი. ს. ტ. ა. ნ. ი.**,

თ. ტ. ა. ბ. ა. ტ. ა. ძ. ა. მ. და **ვ. ს. უ. ლ. ა. ა. ვ. ე. ლ. ი. ძ. ა. მ.**), სოლო „თბილტანსაცმელვაჭრობის“ სისტემაში (დირექტორი - **პ. ბ. ა. ბ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი.**) საკასო დისციპლინა ცოტ-ცოტა ირღვეოდაო!

ცოტ-ცოტა ტყუილს დაიჯერებს კაცი, მაგრამ არ გინდა იმის დაჯერება, რომ ეს ნაკლოვანებები და დარღვევები, თურმე იმიტომ ხდება... რა ვქნა, ენა არ მიბრუნდება, მაგრამ მეც უნდა გავიმეორო, მეც ავყევი ცდუნებას: თურმე ნუ იტყვი და, ხელქვეითებისადმი კონტროლი მოუსუსტებიათ სავაჭრო ორგანიზაციებისა და მაღაზიების ხელმძღვანელებს, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილეებისგან შემდგარი კომისიების წარმომადგენლებს! ისინი რომ ყოველთვის პრინციპულად ებრძოდნენ ვაჭრობის სისტემაში არსებულ ნეგატიურ მოვლენებს, მაშინ ბევრი რამე იქნებოდა რიგზეო! აი, ეს კი უნდა დავიჯეროთ!


ნინავის დავალებით -
გიგა მასხვილაძე



მარტო ზღაპარში ყოფნა და ცხოვრება აღარ იქმარა, ადგა და ქოსატყუილი ქალაქში გამოიპარა. რას გაუვებდა საბრალო ტყუილ-სიმართლეს ახლანდელს?! ნიღაბს ვინ ჩივის, - საცოდავს კინალამ ტყავიც გასადგეს! ზოგი სიცილით კედებოდა, ზოგი ქოქოლას აყრიდა, და, ბოლოს, გამასწრებელი ქოსატყუილა აყვირდა: - „უნდა ცხრა ნიღბით იარო, საერთოდ გარეთ თუ ივლი, რა სათქმელია, ბატონო, ამ ხალხთან ჩემი ტყუილი! ფეხს როგორ გამოვადგამდი, ეს რომ მცოდნოდა თავიდან?“ - თქვა... და საწყალი სასწრაფოდ ისევ ზღაპრებში წავიდა.

დ ე ვ ი

ტანზე - ბეწვი, თავზე - რქები, ეშვიანი კბილები!.. ქაჯები და ეშმაკები იყვნენ დევის შვილები. სან უბრალო დევს ვხედავდი, სან კიდევ - ცხრათავიანს! ისიც მახსოვს, ბავშვობაში სიზმრად შეუჭამივარ!.. მუდამ თვალმისისხლიანი, მუდამ პირადრენილი! - ასე მყავდა ბავშვობაში დევი წარმოდგენილი. დევის შიშით მიტირია, ღამეც გამოთვია, დღეს კი, დმერთო, შენ მიშველე, სულ სხვაგვარი დევი! -




რისი ბეწვი, რქები, ეშვი? - ზღაპარს შერჩა სამთავე!.. სანე - სუფთად გაპარსული, ზოგსაც - ცხვირზე სათვალე. კონტა პიჯაკ-პერანგი და ზედ - მოდური პალსტუხი, ყალბი ღიმილ-სიცილი და ყალბი სიტყვა-პასუსი. დმერთო, როგორ ვიტანჯები! დმერთო, როგორ ვიღლები! იმ დევივით რომ დადიან დღეს კაცების ნიღბებით!.. არც დევეური შემართება, არც კაცური სირცხვილი! მკამენ ახლა, ასე ცოცხლად, ასე ღიმილ-სიცილით!..



კველი პართული ნიღაბი

ყ ა ე ნ ი


იმ სისხლიან წვიმის დროში, იმ ძნელსა და მიძიმე ფაშს, ჩვენი შეჭმა ვინც ისურვა, ყველას ახლა მიწა ჭამს!.. კაცი - დამაბნელებელი საქართველოს ცის და მზის, ერთ დროს ოქროს ტანტზე იჯდა, ახლა ვირის კენზე ზის. და უსკდებათ შიშით გული სამარეში ტირანებს, ისტამბულის სულთანებს თუ შაჰინ-შაჰებს ირანის!.. ანგელოზის ფრთებით დადის თუ ეშმაკის ფეხია, ტირანების ბოლო ბოლოს მაინც ვირის კენზე!



ილუსტრაციები ჯემალ ლოლუასი

მ გ ე ლ ი

შენედავ, ჩემო ბატონო, ჩვეულებრივი კაცია, ტანზე მგლის ტყავი კი არა, თეთრი ხალათი აცვია. ისე, ნამდვილად მეგლია და მგლის ბუნებას არ ფარავს. თუ მოგატყუა, სომ კარგი, თუ არა - გართმევს აშკარად. თუკი რაიმე უთხარი, აგიკლებს ღრენით, გინებით. სახწორი მისი ყებბია, გირებე - რკინის კბილები. კიდევ ზომავს და კიდევ ჭრის თავისი მგლური არშინით, შე შენ გეტყვი და, თოფის სმა ან ძაღლის ყეფა აშინებს! ასე ყმულით, დმულით, წკაყკავითა და ქაქანით საღამოს წაგრიადდება სახლში საკუთარ მანქანით!..



თუმც დასციინიან, თელავენ, უტყაპუნებენ კეფაში, - მაინც დღე-ღამეს აწწორებს სულ ლომის სოტბა-ქებბიში. მაგრამ თუ ისე მოხდება (ვინ გადაუვა ღვთის ნებას?!) თუ ლომის საქმე გაფუჭდა, პირველი უწყებს გინებას!



როგორც მელიას სჩვევია, როგორც მელიას წესია, არის მლიქვნელი, პირმოთნე, ქვემძრომელი და ქლესია. დადის და დაცუნულაკობს ადამიანი-მეგლია, იმასაც ვატყობ, ამქვეყნად არსება მისი გრძელია!

საქართველოში!



ამ ბოლო ხანს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ორ დიდ საწარმოში, მეტყვის საშენ მასალათა მრეწველობის კომბინატსა და ავჯალის სილიკატური აგურის ქარხანაში, თურმე აშკარად იგრძნობა ათეისტური მოძრაობის შესუსტება და, ცხადია, ამის შედეგად ღვთისაყენ შემობრუნებას...

გულმოდგინე გამოკვლევა შედეგად გამოავლევდა, რომ ზემოხსენებულ საწარმოებში ფეხი მოუკიდებია აწ მივიწყებულ ძველ გამოთქმას: „აგაშენა ღმერთმა!“

სხვაგან და სხვა ვითარებაში ეს გამოთქმა მხოლოდ კეთილ დალოცვად მომიჩვენებოდა და შესაძლოა მისთვის ყურადღებაც არ მიმექცია, მაგრამ აგურის ქარხნიდან ღმერთთან რომ გაგზავნიან აშენებისთვის, ეს გარემოება, დაგვერწმუნებით, ეჭვს თუ არა, ცნობის წადილს მაინც აღძრავს და მეც გულა-ნაბადი ავიკარი და ხსენებული ქარხნიდან გამოსულ ნაწარმს ფხვდა-ფხვს გავდივ. ბევრი ვიარე თუ ცოტა, მივაღიქვი საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტს გურჯაანში.

მოწყენილები იყვნენ გურჯაანელები და გამიკვირდა: ოთხი წლის მანძილზე საუკეთესო მანქანებლების მიხედვით ტრესტმა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა, შარშანდელი წლის მესამე კვარტალის გუგის შესრულებისათვის საკავში-


რო სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და საშენ მასალათა მრეწველობის პროფკავშირების გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა და მოწყენილები რატომ უნდა იყვნენ-მეთქი? ღმერთი თუ აგაშენებსო! — მიწასუენს ტრესტის მმართველმა ვასილ კუპრაძემ და მისმა მოადგილემ ნოდარ ბერიძეშვილმა.

ღმერთმა რატომ უნდა აგაშენოთ, როცა მეტყხმა 70 ათასი და ავჯალამ 20 ათასი ცალი აგური გამოგიგზავნათ-მეთქი, მიდით და აშენეთ, ვუთხარი, მაგრამ ვინანე. ძველთაძველი წესი გამახსენდა, რომ ჯერ შვიდეჯერ უნდა გამეზომა და ერთხელ მერედა გამეჭრა. მივედი და გავზომე. გავზომე და სახტად დავერჩი: 90 ათას ცალ აგურში ნახევარზე მეტი უვარგისი აღმოჩნდა! ისტიბარი არ გავიტყვე და შევუტიე, არბიტრაჟში უნდა გეჩივლათ-მეთქი! ვიჩივლეთო, მაგრამ რა გინდა, სილიკატური აგურის ქარხნიდან დაგვემუქრნენ: სანამ საჩივარს უკან არ გაიტანოთ, ერთ ცალ აგურსაც აღარ მიიღებთო! მეწყინა, ძალიან მეწყინა, მაგრამ „ნინანგს“ გულგატეხილობა არა სჩვევია და გურჯაანელები წამოსვლისას დავაიმედე: ნუ დარდობთ, ეს საქმე უეჭველად მოგვარდება-მეთქი!

უნდა გამოგიტყდეთ: დღესაც არ ვიცი, მოგვარდა თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „ნინანგი“ მოიცდის და გაიგებს!

ზურაბ რსცხილაძე,
„ნინანგის“ სპეცკორუსპონდენტი.

ნახ. ი. შინაზვილიძის



უხიტყვოდ

ენის გასაგები

- გაუმცროსმეცნიერთანაშორილ-მბული უმეცარი ლაბორანტი გაუფროსმეცნიერთანაშორილობას ითხოვს.
- სალაშოს სექტორზე ლექტორი ბიქტორი ელექტრონის შუქზე ლექციას ლექტორივით კითხულობს.
- ნაქვიზარ ნაფეიქრალ აფრასიონს ფულზე ფიქრი აფორიაქებს.
- სასონისეში სოსისით ხავსე სინიდან სოსო სოსისს სასობით ხანსლავს.
- კაპუ ჭოჭუა ჭიჭიკო ჭაჭუას ჭაჭის ჭაჭევიან არაყს უჭოჭმანოდ ყლუჭრჭავს.
- ტიტულიან ტატოს ტიტე ტამაშედაც აკრიტიკებს.
- სოზინანად მოხარულ ხაზს მისო ხანში ხვნივით უშვებს.
- გუჯარამთელი ჭაბა გურჯაანელ ჭიგარ ჭიბოს ფულის ჩაჭიბვაში ეჭიბრება.

გ. ცინცალი

სიზმარი

პიუჯი

პრისხალ რომ ბრძანა გალაკტიონმა, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარიყო, იმეორებენ ჩვენშიცა მას მერე. დიდიც იმეორებს და პატარაც იმეორებს, ქალიც იმეორებს და კაციც იმეორებს, იმეორებს და არავინ იმოწმებს გალაკტიონსა, თავისი პგონია, თავისად იმეორებს; ეს იმიტომ, რომ გზა არ გვივარგა, სიზმარში კარგი გზა ელანდებათ და ნასიზმრალს რომ იმეორებენ, იმეორებენ თავიანთ ნასიზმრალსა. წადი და მოსთხოვე გალაკტიონი, ანთუ ჩაეკითხე, რა რითმებია მანდა ისეთი, სხვა პოეტებს რომ ვერ უპოვობთ მაგისი ბადალიო, — წადი და ჩაეკითხე, რითმები რომ არა სჭირდებათ, აქ გზა ურითმოდ რომ არის სიზმარი.

თუმცა ერთხელ გამოგვეცხადა, სიზმრიდან გამოვიდა და გამოგვეცხადა, გაიჭიმა და გაიტყიცა, ტალანი გაიყარა და ასფალტი მოირგო, ფეხიც გაიმართა, მანქანაც გაიმართა, ყველანაირი, ავტობუსმაც ამოისუნთქა, თუმცა მოშლილყო ისე-იმიგვარადა, მონჯღრეულიყო ისე-იმიგვარადა, კვლავ მუსიკით რომ მიმოგვაცილებდა, ოღონდ უფრო ნაზი მუსიკითა, ჩასაბერი და დასარტყმელი საკრავების გარეშე, — მართლა და მართლაც გამოგვეცხადა, მინც ვერავის ვერ დაუჯერებ, მინც იტყვიან, სიზმარი იყო, იტყვიან და ვერ გადააჯერებ, მაღე რომ გაწუჭდა, აილუფს-დაილუფსა, მაღე რომ განქრა სიამეი იგი, სიამე გზისა, ვითა სიზმარი ღამისაო. ამა-საც იტყოდნენ, ვითა სიზმარი ღამისაო, არ დააყოლებდნენ არცა რუსთაველსა, — რუსთაველი რუსთაველადაო, გალაკტიონი გალაკტიონადაო, ხოლო სიზმარში არავის არ შეიცვლებდნენ, სიზმარში გზისა, კარგი გზის სიზმარში.

არადა, მართლაც გამოგვეცხადა, მართლა სწრაფად, მოულოდნელად, მართლაც და მართლაც სიზმარივითა: მანქანები გაჩნდა, ექსკავატორიცა, ექსკავატორი ლიანგეში ჩადგა, მანქანებმა მოზიდეს სრეში, ბუღდოზურიც გაჩნდა, სკრეპერიცა, სატკეპნებიცა, ასფალტიც გაჩნდა, თვით ასფალტიცა: აიმართა და აიმართა, გორები აიმართა, ადიოდა და ადიოდა, ოსშივარი ადიოდა, ასფალტის ოსშივარი, არათუ საძროხე ქვების ოსშივარი, რაღა თქმა უნდა, — ლეონიძე ლეონიძედაო, ადიოდა და აწვიმდა კიდევცა, ხშირად თოვლჭყაპსაც გამოურევდა, ქარიცა ქროდა, ვერანი ქარი, ქარი მარტისაი, ბრუტსაბძელა თუ მრუდსაბძელა სუსხავდა ისე, ხელი ვერ უძლებდა, ვერ უძლებდა ლოყა თუ ცხვირი, კანი სკდებოდა, ყაშა-ყაშა სკდებოდა კანი, — ასე ამ ყოფაში გამოგვეცხადა, — კანი სკდებოდა და უძლებდა კაცი, ქალიც უძლებდა; კაცი ეს ისეო, სიტყვის მარაქადა, ქალი იმიტომ, გზის იწყინური ქალი რომ გახლდა, მთავარი იწყინური, მთავარი ექიმიც ქალი რომ გახლდა, რაიონის მთავარი ექიმი; საიდან სადაო, თუ ამიხიარდები, ვეტყვი. ცხადია, რადგან დავიწყე, გავალ ბო-

ლომდისა, შენ დაწყება თქვი, თორემ ბოლო უთუოდ მოწყვებაო, ავად თუ კარგად, საკითხავი როდილა არის, ავიც ბოლოა და კარგიც ბოლოა, — ბოლო ბოლოა, ყველაფერი ბოლო არისო.

და აი ნუცა რომ დღეებს ითვლიდა, ნუცას ბიჭიც მობრძანდებო, ამბობდნენ სალაყობზე; კაი ხაშლამაც გველოდებო, დასძენდნენ უგულონი.

ნუცას ბიჭიც თუ მობრძანდებო, ამას რომ იკითხავდნენ, დედის დაკრძალვას თუ დაესწრებო, ამასა გულსისმობდნენ.

დიდაცთა შორის ერა იგი, მინც ამბობდნენ ნუცას ბიჭიო, ეს არაფერი, იციან ხოლმე, მთავარი ისაა, ვერ გადაეწყვიტათ, ჩამოვიდოდა თუ არა ისიცა, ვერ გადაეწყვიტათ და დავობდნენ ისე, სალაყობზედაც რომ არ გასულიყავ, შინაც კარგად გაიგონებდი ყოველ სიტყვასა, ყოველ ვარაუდსა, დაბეჯითებულსა, დამტკიცებულსა ფიცითაო თუ გინებითაო, ვისაც თუ როგორ მოუხერხდებოდა, ანთუ როგორც აღგზნებულიყო. ჩამოვა და მგც ეგ მინდაო, ვილაცა გამოტყდა ბოლოსდაბოლოსა, ჩამოვა და ჩამოწყვებიან, ი დიდაცანი ჩამოწყვებიან, და დედაც ეტრება ე ჩვენს თავმჯდომარესაო!

მთხრობელი გავიდა, თუ თვითონვე გაიგონა, თუ თვითონვე იაზრა თავმჯდომარემა, აიყოლია თანამდგომელი და — წარვიდეს (რაიკომის წინაშე), შეიღებნეს შავად, რომელთაზე პირნი, და რომელთაზე ხელები, და რომელნიმე სრულად და ეგრეთ მოუთხრნეს ყოველი ჭირნი, მოწვენილი მათ ზედა; — აღმაშენებლის ისტორიკოსი აღმაშენებლის ისტორიკოსადა, ოღონდ იმასაც დასძენენ ხოლმე, თავზე ნაცარიც წაიყარესო, ანთუ თავმჯდომარემ წაიყარა მომეტებულად და ეგრე შეჰბედაო: მე რომ დედა მეტირება, ეგ პოცხადია და ცხადზე ცხადია, მაგრამ ვაითუ ჩემით არ დაჯერდნენო.

და ის ქალებიც მაშინ გამოჩნდნენ: მთავარი ექიმი და მთავარი იწყინური, რაიკომის მივიანმა რომ იხმო; ექიმი ენება და ეახლა ექიმი, მთავარი ექიმი, იწყინური ენება და ეახლა იწყინური, მთავარი იწყინური, სხვას არ გაარჩევდა რაიკომის მდივანი, არც სხვა გაარჩევდა, რაღა თქმა უნდა, არ გაარჩევდა მრუდსაბძელაცა; მარტის თოვლ-ჭყაპიც არ გაარჩევდა, მარტის ქარიც არ გაარჩევდა; გასთოშავდა ერთნაირად, აძუგდებოდა ერთნაირად, თავებდს აწყველინებდა ერთნაირად, კაცი იქნებოდა თუ ქალი, სულერთია, — ერთნაირად, ერთნაირად.

აქ უნდა მდგარიყვნენ და თავს უნდა დგომოდნენ: ექიმი ავადმყოფსა და იწყინური გზასა, რაღა თქმა უნდა, უნდა მდგარიყვნენ და იდგნენ კიდევცა, მრუდსაბძელა მათ ადგა თავსა, — ბრუტსაბძელაო, ჩვენში იტყვიან, თავს ადგა და ისუსხებოდა, იღრინებოდა, იკბინებოდა.

ინჟინერს გზა უნდა დაეწყებინა, ექიმს უნდა დაეგვიანებინა სიკვდილი, ისე, იმგვარი განზომილებითა, ნუცას კარებთან რომ შეხვედრილიყვნენ, ზედ კარებთანა ზედ ჭიჭყართანა, ან დიდი-დიდი შუა სოფელში, მუქი გააღვივება არ დაიშვებოდა, არამც და არამც არ დაიშვებოდა ბრძანებდა მდივანი და არ მოასვენებდა, არ მოისვენებდა არცთუ თვითონა, ესენი ისე რას გააწყობდნენ, — არ მოისვენებდა და ხმას გააწვდენდა: მოაშველებდნენ ექსკავატორს დუშეთიდანა, ასფალტის სატკეპნს საჩხერიდანა, სკრეპერს მარნეული გამოუგზავნიდა, ასფალტს დაუთმობდა რუსთავი, ანთუ აჩუქებდა, ანთუ ასესხებდა, ანთუ გაუცვლიდა ხილმი ალბათა, თვითმცვლელებს აქვე გამოძებნიდა, ამომძრავებდა მთელს რეზერვებსა, როგორც რომ იტყვიან წარმოების თეორეტიკოსები, ანთუ მოსწყვეტდა თავიანთ საქმესა, ერთად მოუყრიდა, დააგუზუბებდა, აღანთებდა ერთი მიზნითა. რაღა რჩებოდა მთავარ ინჟინერსა, — გაეძლო მხოლოდ მრუდსაბძელასთვისა, თუნდ ბრუტსაბძელა დაეჯინებინათ, მხოლოდ გაეძლო, გაეძლო გიჟი ქარისთვისაცა, მარტის ქარისა, თოვლ-ჭყაპისთვისაც აგრეთვე გაეძლო, მუშებისთვისაც უნდა გაეძლო: ორმაგს და სამმაგს ბებია მოუყვდა,



ნათლია მოუყვდაო, ზოგი ამბობდა, ათმაგი უნდა დაგვიწერიო, — ესღა რჩებოდა და უნდა მოველო, მამაკაცივით უნდა ეჩხუბა, ევინებინა მამაკაცივითა, რა ვუყოთ, რომ ქალი იყო, კაცი ყოფილიყო, ვინ დაუშლიდაო, ან რად მიიწევდა კაცის ადგილასა, მიიწევდა და გაეწიო. და ეწეოდა, ისიც ეწეოდა, ზურგი მიევირთა მრუდსაბძელასთვისა, ანთუ თითქოს მიეყუდაო, და ისე უღერებდა მუშტებსა მუშტებსა, ავინებდა და მუშტებს უღერებდა.

ექიმიც იმასვე დაესხმოდა თავსა, ჩქარაო და ჩქარაო, სიკვდილისაკენ მიბრუნებულა, აქით აღარ ისედებო, — ნუცაი, ცხადია.

მდივანი ექიმსაც დაესმარებოდა, რაღა თქმა უნდა, მისცემდა ნებას, გაეხარჯა მედიკამენტები თუნდ განსაკუთრებული ფონდიდანაცა, სამინისტროსაც მიუწვრევდა კარსა და ბანსა, არაფერი არ დაგვიჭიროთ, ეს ერთი მოგვხედეთ, სამაგიეროდ ჩვენც გვიმსახურეთო. მისედავდნენ და მოიქსახურებდნენ, — ეს არაფერი, ოღონდ ფერი ისაა სწორედა, ის წამალი რომ არ ექნებოდათ,

ნუცას რო უჭირდა, და მაშინ ექიმი მიაღებოდა ისევ რიფსიმესა, ისევ რიფსიმე მოველინებოდა მსხნელადა: შენ მე რაც გითხრა, ის მომიცუნცულე და, რასაც მიბრძანებ, იმას გიბოძებო; სხნა იყო, ცხადია, ოღონდ რიფსიმე მოითხოვდა გასამრჯელოსაცა, განსხვავებასაც მოითხოვდა, რაღა თქმა უნდა, იმისი წამალი მეტი რო ღირდა ყოველთვისა და უსათუოდა. გასამრჯელოს ექიმი დასდებდა, განსხვავებასაც დასდებდა ექიმი თავისი ჯიბიდანა, რაღა თქმა უნდა, და გაბეზრდებოდა ე ჩვენი ექიმი, გაბრაზდებოდა, გაწყურებოდა, გაგულისდებოდა, გზა რო მიიწვედა კუს ნაბიჯითა და სიკვდილიც რო უნდა ეტარებინა სწორედ ისევე, კუს ნაბიჯითა, — გზა გზა იყო და სიკვდილი სიკვდილი, გზა ყოფილიყო კაცის ნებადა, სიკვდილი არა, არა ყოფილიყო კაცის ნებადა, არც ქალის ნებადა არა ყოფილიყო; გაგულისდებოდა და გაგულისდა, შეჰკადრა უკადრი მთავარ ინჟინერსა, იმანაც უკადრს უკადრი დაურთო და შეიბნენ ქალნი შუა გზაზედა, შეიბნენ და შეიბნენ, გადაიღერდნენ, დღე ერთი იყო და შებმაი ათასი. ქალნი შეიბნენო, ოღონდ და მაინც არ განირჩეოდა ქალი თუ კაცი, ჩექმები რო ამოგანგლოდათ ერთნაირადა ლაფსა თუ ტლაპოში, ერთნაირივე ქუდებიც რო ჩამოემხოთ, ბეწვისანი, ყურებიანი, ერთნაირად რო წუოდა ქარი და საყულოებშიც ჩამძვრალიყვნენ ერთნაირადა, ხმაც ჩახლწროდათ თამბაქოსაგანა ერთნაირადა, სუნიც ასდიოდათ თამბაქოსი ერთნაირადა, — არ განირჩეოდა, რაღა თქმა უნდა, ქალი თუ კაცი. არ განირჩეოდა, რო ჩსუბობდნენ კაცებოვითა, ილანძდებოდნენ კაცებოვითა. გაჩერებდნენ მანქანებსა მუშები, გაჩერებდნენ მძლოლებიცა, შემოეხვევოდნენ და ხორხოცებდნენ, ხორხოცებდნენ და უკვირდათ, ნეტავი ამათ თუ საღა ისწავლეს ეს ხატოვანი სიტყვებიო, მძლოლებსაც უკვირდათ, თვით მძლოლებსაცა, აბა!..


მრუდსაბძელაც გაიკვირებდა, ჩაიფლობოდა ხოლმე ნისლებშია, ხან უეცრადვე ამოენთებოდა, წამოდგებოდა აგერ ზედ გზაზედა, წამოდგებოდა და სუსსა დაანთებდა, სუსსა ისეთსა, ზამთარი რო მოეხატებოდათ.

მაშინ გზაზედაც ვეღარ გაჩერდებოდნენ. იყო მატარა თავშესაფარიცა; იყო დიდიცა, — რკინიგზის სადგური, მაგრამ ციოდა იქაცა უღმერთოდა, და მიატანდნენ პატარა ფარდულსა, პატარა თავშესაფარსა, წინ რო სავაჭრო ჰქონდა პურისა, სხვა სალეველიცა, უკან საკუჭნაო; საკუჭნაოში ელქურა ერთო, ქვაბი თუსთუსებდა გაუნელებლად, ორთქლი ადიოდა შეუწყვეტლად, ადიოდა და ათობდა, ამყუდროებდა და ათობდა იქობასა; თუსთუსებდა ამიტომაცაო, ხოლო სანდონი თუ გამოჩნდებოდნენ და გამოჩნდებოდნენ, რაღა თქმა უნდა, რკინიგზელები თუ მუშები სამხერხაოსი, ამოვიდოდა სოსისები იმა ქვაბიდანა, ჩავიდოდა და ამოვიდოდა, ჭაჭაც მაშინვე გამოყოფდა თავსა; სად თუ ციოდა, ისიც იქ გახლდა, ასე, ვერ გაეძლოთ უერთმანეთოდა. ისინიც თუ შემოუსხდებოდნენ იმა ელქურასა, იმა ქვაბსა მოთუსთუსესა, შემოუსხდებოდნენ თუ მიუცნუქდებოდნენ, ან ჩაიჭედებოდნენ, ანთუ ჩამოსდებდნენ ცალგვერდულადა ყუთის კიდებზედა, დამხობილი ყუთის კიდებზედა, ანთუ რაც თუ რა იქნებოდა, ისინიც ისევე გაულებდნენ პირსა გა-

ბურილ სოსისებსა, ხუსავდნენ ჭაჭასაცა სწორედ ისევე, აბოლებდნენ და იბოლებოდნენ ისევე-მეთქი, რკინიგზელებივითა თუ სამხერხაოს მუშებივითა, მძლოლებივითა თუ ვინც იქნებოდნენ, ვინც დახვდებოდათ თუ ვინც მიჰყვებოდნენ. აბოლებდნენ და იბოლებოდნენ, აბოლებდნენ და ჩაბნელდებოდნენ, ცურავდნენ ჭვარტლში და მაინც იქ ერჩივნათ, — ჩათებოდნენ და სითბო ერჩივნათ. ხანთუ კარსაც გამოალებდნენ, ვინმე შევიდოდა, ვინმე გამოვიდოდა, გამოიჭრებოდა ბოლი ისეთი, აფუვდებოდა ბოლი იმგვარადა, მრუდსაბძელაც რო ჩაიმალებოდა, ან ცხვირს იქით რო წაიღებდაო. მაინც იქ ერჩივნათ, მაინც იქაო, თუმცა ქალი წაიშლებოდა, წაიშლებოდა მამაკაციცა, — ეგაა ტალახს თუ მიაცხოვდნენ ერთიმეორესა იმ სივიწროვეში; ხმებოდა ტალახი, შეიბოლებოდა ტალახიცა აგრეთვე, შეიბოლებოდა ფულიცა აგრეთვე, ყველა თავისას რო გადახდიდა: ყველა მოითხოვდა თავ-თავისთვისა, ყველა მიირთმევდა ერთდროულადა, ლამის თავი რო თავზე მიეხვიანათ, თავი კუდს რო ვერ მოიქნევდა, თორემ სხვა რაო, კაცი ქალს არ შეეპატრონებოდა, მეგობარი მეგობარს არაო, ამხანაგი ამხანაგსაც არაო და მით უფრო არაო, არც მეზობელი მეზობელსაო, არც შვილი მამასა და არც მამა შვილსაო, — წაიშლებოდა ყველაფერი, აირეოდა ყველაფერი თუ განიყოფოდა ყველაფერი, — განიყოფოდა, განიყოფოდა, მხოლოდ ერთგვარად შეიბოლებოდნენ. შეიბოლებოდა მრუდსაბძელაცა.

ისევ მრუდსაბძელა მოიკრიალებდა, ისევ გზაზე გადმოდგებოდნენ, ისევ აჩქარებდა ექიმი, დაყოვნებას მოითხოვდა ინჟინერი ისევე, თვით სიკვდილიც დაყოვნებასა, — ებრძანებინათ და მოითხოვდა.

და მართლაც დაყოვნდა სიკვდილი. დაყოვნდა. ნუცამ მოიხედა და სიკვდილი დაყოვნდა, ისე დაყოვნდა, აგერ აქამდე რომ კენჭივითაა ნუცაი, აღარც გაეკარა და მიივიწყა თითქოსაო. მაშინ სოფლამდე მოსულიყო გზაი, ჯერ შიგნით არ შემოეღწია და აღარც ინება რო შემოეღწია, იქვე გაჩერდა და იქიდანვე აიკრიფა გუდანაბაღი. ექსკავატორი გააძუნძულეს, ზედ მიაყოლეს სკრეპერიცა, ბუდლოზერიცა, სატკეპნებიცა, ასვალტიც შეუწყვიტეს, რაღა თქმა უნდა, თვითმცლელელებიც მიმოიფანტა მანამდისა და ყველაზე ადრე. გზამაც ბევრი არ დაყოვნა, ისევ აილუფსა, აილუფს-დაილუფსა, აირ-დაირია, როგორც გააკეთეს, ისევ აირია, ბორცვები აიზიდა, ორმოებმა დაალო პირი. დადგა გუბეები, ჩახავსდა გუბეები, შმორი აუშვა და ბაყაყებმა ფერხული ჩააბეს. ოღონდ ესაა, ნუცას ბიჭმა მაინც მოასწრო, მაინც მოსრიალდა, სოფელთან რო მოატანა გზამა, დახვდა დედასა, რაღაც საოცარი ძალით თუ დახვდა, დახვდა და აჩქარდა, გაეშურა მისკვე, — მოსრიალდა და გასრიალდა ახალი გზითა, ახალი მანქანითა, საგანგებო მანქანითა, მართლაც მოსრიალდა და მართლაც გასრიალდა; ვიეორებ და რო ვიეორებ, ეს იმიტომ, რომ ვეღარ მოსრიალდა, მალე, სულ მალე მოჯაყყაყად ავტობუსითა, მოჯაყყაყებს და მოჯაყყაყებს როგორც-რო სხვები; იქ რაღაც მოხდა, როგორც აღწევდა, ისევე დაეშვა ე ნუცას ბიჭი, რაკეტული სიჩქარით ავიდა, დაეშვა ეგრევე; იმავე სიჩქარითა, მოტყხით არაფერი მოუტყხია, ცოტა დაიგეჟა, მოიშუშა დანაყეებე,



სოფელიც გაუტკბა ისევ ისევე, დაუბრუნდა ჩვენს ავტობუსსა და მოჯაყყაყებს და მოჯაყყაყებს, იდღვიბება ჩვენთან ერთადა, იდღვიბება და იტანს, იტანს ჩუმადა.

იტანს და ითმენს, ოღონდ სინანული მაინც ძლიერია, მოგონებანი მაინც ძლიერია, და ფხს რო ჩამოდგამს ავტობუსიდანა, ლამის დახუთული თუ დაკუტებული, ძლივძლივობისას რო ჩამოდგამს ფხსა, მაინც წამოსცდება:

- აფსუს, რა გზა იყო!..
- წამოსცდება და თვალს მოატარებს, — იქ პოხალხია, ჩამომსვლელია, წამოსვლელია, სალაყბოდაც გამოფენილან, ხალხია და თანაურძნობენ, აბა ხალხი მა რის ხალხია, ანთუ ჰგონია, თანაურძნობენ, ისე მოატარებს თვალსა, მაგრამ არაო, არ თანაურძნობენ, ან არაფერი მოაგონდებოთ, — უფრო არაფერი მოაგონდებოთ და ასე იკითხავენ:
- ეგ როდისაო.
- გაიკვირებენ და ასე იკითხავენ:
- როგორ თუ როდისა?! — ამას უფრო გაუკვირდება და იმათაც გაუკვირდებათ ამაზე უფრო მომეტებულადა:
- ვის დროშიო.
- როგორთუ ვის დროში?! აგერ არ იყო?! მართლა არ გახსოვთ?!
- ნწ, არაო.

ნწ, არაო, თანაც „ნწო“ და ლამის ცეცხლი წაეიკდება ე ნუცას ბიჭსა და ამოსეთქავს ყველა ერთბაშადა, რაც რო აეტანა, რაც რო მოეთმინა:

— უმადურნი ხართ, დაუნახავნი და უმადურნი!.. ღირსი ხართ ყველაფრისა!.. — ამოსეთქავს და გასწევს მარტოდა, არც პასუსს დაუცდის, არც არავის აღარ მიხედავს. ესენი თითქოს დიდარცხვენენო თითქოს და რაო, ბოდოშობენო:

— არ გვახსოვს და რა ვქნათ!.. ეგრე დავღვივართ ჩვენი დღენი უგზოუკვლოდა, ცხადლივ ეგრე და, სიზმარს თუ ამბობო?..

სიზმარი, იცოცხლეს, სიზმარი ახსოვთ, იციან სიზმარი: ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაქვარდუო.



— ალათი ბეზიას რევმატიზმები აწუხებს!
— რამდენი კოლოფი გინდა!

გაღმა-გამოღმა

კაცს ჰკითხეს: ცოლი თუ გყავსო, და — მყავს, მაგრამ გაღმა ლეკსა ჰყავსო. ეს ანდაზა, თქვენ წარმოიდგინეთ, წითელწყაროს ხორცკომბინატის დათვალიერებისას გაგვახსენდა. თვითონ ხორცკომბინატი მშვენივრად არის მოვლილი და ნაპატრონები, ყველაფერს გამრჯე და გამჭრიახი მეურნის ხელი ეტყობა, მაგრამ, გაღმელი ლეკისა არ იყოს, სანიტარული სასაქაოა მოშორებით, სიღნაღის რაიონში, კერძოდ კი წნორში

აქვს და რა ქნას? ახალი ღირეცია ძველისგან მიღებული ამ „საჩუქრით“ შეწუხებულია, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ძალებით საქმეს, ცხადია, ვერ უშველის! ჰოდა, გამოდის, რომ დავარდნილ პირუტყვს „სადღაც გაღმა“ მიაქანებენ და ამის გამო ხორცკომბინატი, ანუ საერთო სტუმე, საგრძნობლად ზარალდება!

ახლა „გაღმა ლეკსაც“ ჩავაკითხოთ და შევიტყუოთ, ეს ამბავი იქნებ იმას აძლევდეს ხელს. თურმე ნუ იტყვიოთ და სიღნაღელები წითელწყაროელებზე

მეტად ზარალდებიან, რადგანაც ერთადერთი სასაქაო აქვთ და ისიც მხოლოდ სანიტარული. თანაც ეს სასაქაო „გაღმელს“, წითელწყაროს ხორცკომბინატს ემორჩილება და, სხვას რომ თავი დავანებოთ, ყველა წვრილმანის შეთანხმება, რა თქმა უნდა, უძნელდება! ამას გარდა, სიღნაღელები არაგის ჩამოუფარდებიან ხორცის დამზადების საქმეში და საამისოდ შორს კი უხდებათ სიარული. დროის დაკარგვაზე აღარაფერს ვამბობთ, მაგრამ პირდაპირი ზარალი გამოვიანგარიშეთ და ისეთი თანხა შეადგინა, რომ თვალები გაგვიფართოვდა და სახეები დაგვიგრძელდა! ჰოდა, წელან ნათქვამი „ცოლი მყავს, მაგრამ გაღმა ლეკსა ჰყავსო“ ამ ამბავზე სწორედ რომ ზედგამოჭრილი მოგვეჩვენა!



რაცნილა ზურაძე

დაქარაღვინა

ქვეყნად სექსი ბატონობს და
ქვეყნად მეფობს მაფია!..
ვიღას უნდა, ნეტავ, შენი
ხვესურული კაფია?!

ვიღას ნიბლავს სანაპირო
მშობლიურ ზღვის, შავისა?!
კრუიზებზე მეოცნებებ
გზაც არ იცის ფშავისა!

მისისიპი ესიზმრება,
ელანდება ნილოსი!..
არად უღირს ალაზანი,
ჭალა საინგილოსი!..

სულს უხუთავს ქართლის სვატი,
სველი ჰავა გურიის!..
ოღონდ სადმე ვააღწიოს,
ვალს აიღებს ურიის!..

ვიფელი არ უნახავს!
არ უნახავს კორიდა!
სამშობლოდან მიმავალ გზას
ორს აირჩევს ორიდან!

უცხოურად ამას პქვია
კაცის დეგრადაცია!
თუმცა კაცი რას მიქვია?! —
აბა, ის რა კაცია,

ვინც ცოცხალი მკვდარსა ჰგავს და
აღარ ესმის მშობელის,
ვინც გულგრილად ჩაუქროლებს
წიწამურის ობლიესს!

დათო ჯაპანოვილი



— საჩივრის წიგნი!..
— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, სხვას ნურაფერს ნუ მომთხოვთ და!..

სასარგებლო რჩევები

- **იყავ** თავაზიანი ასაკით უფროსთან — ერთ ღროს თვითონაც გახდები უფროსი!
- **იყავ** თავაზიანი თანატოლთან — შენც ხომ მისი თანატოლი ხარ!
- **იყავ** თავაზიანი უმცროსთან — შეიძლება იგი ოდესმე უფროსად მოგვევლინოს!
- **საერთოდ**, იყავ თავაზიანი — იშვიათობა ყოველთვის ძვირად ფასობს!
- **ისარგებლე** სუფთა ჰაერით — სადაც შეგვხვდება!
- **არ ისარგებლო** ლიფტით — გულსაც მოუსდება და ლიფტშიც არ გაიჭედები!
- **ირბინე** სისტემატურად — თუ გინდა, ავადმყოფობა ვერ დაგეწიოს!
- **მიიქალე** ფეხით სიარულს — ტრანსპორტის ლოდინმა შეიძლება სამსახურში დაგაგვიანოს!
- **ნუ** მიიქალები ჭამა-სმას — დაზოგე სხვისი ნაშრომი და საკუთარი ჯანმრთელობა!
- **შინიდან** გასვლის წინ ქუჩაში ნუ ჩამოიბერტყავ მტვერს — შეიძლება მისი ჩაყლაპვა თვითონვე მოგიხდეს და... არ მოგიხდება!
- **ნუ** გადახვალ უადგილო ადგილზე ქუჩის მეორე მხარეს — მით უმეტეს, თუ იქ არაფერი გესაქმება!
- **ხურდა** დაითვალე სალაროსთან — თვლა ნერვებს ამშვიდება!
- **ძმებს** თხილის გული გაუყავი — თხილს ახლა კარგი ფასი აქვს!
- **ნაშუაანს** ნუ გაიქაჩები, დაეტოე შენს ქურქში — თუ იგი უკვე გაქვს!
- **სანამ** იტყოდე, დაფიქრდი — საფიქრალი არ გაიჩინო!
- **კრიტიკას** ნუ ეხუმრები — კრიტიკას კრიტიკოსებიც ერიდებიან!
- **ნუ** დაასხამ ცეცხლზე ნავთს — ნავთობის მარაგი გამოუღეველი არ არის!
- **ასჯარ** გაჯომე და... — ყოველ შემთხვევაში, თავის დაზღვევისათვის, სხვას გამოაჭრევიან!
- **მოყვარეში** ეძებე დადებითი — უარყოფითი ისედაც გამოჩნდება!
- **ზოდვები** რჩევა-დარიგებით ნურავის შეაწუხებ — სხვისას კი არა, საკუთარ რჩევასაც იშვიათად თუ ვინმე ასრულებს!

აკოლონ ბასილაიძე

მთხოვნელი: — შეიძლება?

კაცი **კაბინეტში** (თავაულებლად, ცივად): — მობრძანდით!

მთხოვნელი: — გამარჯობათ!

კაცი: — რა გნებავთ?

მთხოვნელი: — მე პარასკევს გახლდით და თქვენ არ ბრძანდებოდით!

კაცი (აწყვეტინებს): — ვიცი, ვიცი! არ მეცალა მაშინ!.. სამინისტროში ვიყავი!.. ჩივილს ხომ არ მიპირებ?

მთხოვნელი: — როგორ გეკადრებათ!

კაცი: — მეკადრება კი არა!.. ვიცი, რა ჩიტებიცა ხართ: აქ თავს იკატუნებთ და იგრინებთ, გახვალთ აქედან და მეტრანსევერიან არზას დაწერთ! გიცნობთ, რაცა ხართ!

მთხოვნელი: — რას ბრძანებთ, ალბათ სხვაში გეშლებით!

კაცი: — მე არაფერი მეშლება! შენ ტყუილად გგონია, რომ არ ვიცი რას ვლაპარაკობ. იქნებ ისიც დაწერო იმ შენს ანონიმურ განცხადებაში, უვიცია და არ იცის, რას ლაპარაკობსო, ა?!

მთხოვნელი: — რას ბრძანებთ, რომელ ანონიმურ განცხადებაში?!

კაცი: — ჰო, ჰო, მოისაწყულე ახლა თავი! იმდენი ვაჟკაცობა მაინც გქონდეს, რომ პირში მითხრა სათქმელი! გახვალ, დაჯდები ბინდბუნდში და მარცხენა ხელით წერ ამხელა კაცი! კაი, ბატონო, პირში არაფერს მეუბნები, განცხადებას მაინც მოაწერე ხელი: ნუ იმალები და იკუნტები!

მთხოვნელი: — ტყუილად მაყენებთ შეურაცხყოფას!..



სკანჩი

კაცი: — ნწ!.. ნწ!.. ნწ!.. ნამდვილად ცოლო ხარ!.. როგორ გგვიბედეს!

მთხოვნელი: — მათქმევინეთ!

კაცი: — თქვი, თუ ვაჟკაცობა გყოფნის, რამდენს დაუნგრავი ოჯახი, რამდენს დააკარგვინე სამსახური და ულუკმაპუროდ დატოვე?! რამდენს აურიე გონება და ჩელიუსკინელების ხიდიდან გადაახტუნე?!

მთხოვნელი: — დაწყნარდით!

კაცი: — არ დავეწყნარდები, არ გავჩუმდები, ვერ მოვითმენ ამდენ უსამართლობას! ბოლოს და ბოლოს, შენი რა საქმეა, მე როგორ და რითი ვცხოვრობ, ნაქურდალით, თუ ნაჩუქართი გავდივარ იოლად. შენ ბოლმა გახრჩობს, ჩემსავით რომ ვერ ცხოვრობ, და ამიტომ წერ ანონიმებს, ხომ?! ვერ მოგართვის! ვინც გინდა, მომიგზავნე შესამოწმებლად, ვერაფერს მიპოვის, ყველაფერი ჩაგვირისტებულ-გაფორმებული მაქვს!.. ვინც გინდა, მომიგზავნე!..

მთხოვნელი: — ვინ უნდა მოგიგზავნოთ?!

კაცი: — რევიზორი! კონტროლბატონი, მილიციელი, პროკურორი... რა გინდა, რას გადამეკიდე?!.. შენ დამიწერე, ხომ, აგარაკი უკანონოდ ააშენაო?! შენ რომ ვერ ააშენე, იმიტომ სკდები გულზე!..

მთხოვნელი: — ერთი წუთით!

კაცი: — არც ერთი წუთით! შენ დამიწერე, არა, ვაჟბატონო, სამსახურში მიღებაზე ქრთამს იღებსო?! ვიღებ, დიასაც, ვიღებ! მიდი და დამიმტკიცე!.. შენ რომ არავინ არაფერს გაძლევს, ბოლმა გახრჩობს!..

მთხოვნელი: — იცით რა...

კაცი: — არაფერი არ ვიცი!.. მე ის ვიცი, რომ შენ დამიწერე, მანქანა ლატარიის ნაყიდი ბილეთით გამოიტანაო! კი, ვიყიდე ლატარიის ბილეთი, აბა, დამიმტკიცე!..

მთხოვნელი: — ცდებით!

კაცი: — ე, ხომ ხედავთ?! ცდებით!.. რაში ვცდები, შე ინტრიგანო?! რაში ვცდები?! გეყო, რაც საჩივრები მიჯალბნე და გამამწარე! ხომ ვერაფერს გახდი?! წადი ახლა და, ვინც გინდა, მომიგზავნე! მიბრძანდი!..


მთხოვნელი: — არავის მოგზავნას არ ვაპირებ, მე თვითონ გამოგზავნილი ვარ!

კაცი: — ვინ გამოგზავნა?

მთხოვნელი: — კოლიამ. „პაკრიშკები“ მივიღეთ და დროზე წაიღოს, სანამ არ გათავებულაო!..

ლერი ჩანტლაძე

ნახ. 3. კუთხისნი




უხიტვეოდ



ოჩხარია თუ ქორწილი?

გონჯილამ სუფრა გაშალა
 სეფაში, „ხუთასიანი“,
 ქორწილი მაქვსო შვილისა,
 ლუდიც ადულდა სვიანი.
 მოდგა და მოდგა სტუმარი,
 ქუდიან-მანდილიანი,
 ათასი ნაცნობ-უცნობი,
 „ვოლგიან“-„უიგულიანი“.
 სათვალსაჩინოდ დაიდგა
 ტაბლავი ნაკურთხიანი,
 ვვერდით „ამკრუფი“ მიუჯდა,
 ქლესო, შუბლმელოტიანი,
 ჩამოაჭრელა სიუბი,
 „ოციან“-„ორმოციანი“,
 აქა-იქ წითლად გახაზა
 „ასიანების“ ფრიალი.
 (ზოგი ხუთ მანეთს კისრულობს,
 მშიერ-ქითირი, ტიალი).
 ოჩხარია თუ ქორწილი,
 ამის გამგები ვინ არი?!
 ცარიელ ჯიბეს ისინჯავს
 სტუმარი, მწარედ მცინარი,
 გონჯილაი კი ფულს ითვლის,
 შუბლზე ოფლგადამდინარი!
 ... სირცხვილით ნისლებს იბურავს
 თავ-პირზე ბერი მყინვარი.

შოთა არაბული (ყაზბუგის რ-ნი)



— აი, შვილო, ეს არის შენი საბავშვო ბაღი!
 — ეს ხომ მარტო სახლია, დედიკო, ბაღი სადღაა?!

მთარგმნელთა დასახმარებლად

რუსულიდან ქართულად უცნობლად ასე უნდა
 ითარგმნოს:

Аспирант — ასი პირატი.
 Белый — ბელი (მაგალითად,
 დათვის).
 Берегись авто — ავტოს გაუ-
 ფრთხილდი, ავტოს!
 Блудный сын — საბლუდე
 (სალანგრე, სასინე) ვაჭიშვილი.
 Вáша — ვაშაა!
 Винá — ვინა?
 Винó — ვინ(ა)ო?
 Доводы — წყლამდე.
 Дуэт — ქრის.
 Земляника — ნიკას მიწა.
 Молодым — ცოტა კვამლი.
 Моральный износ — მორა-
 ლური (ზნეობრივი) ცხვირიდან.
 Мул — მული.

Паратиф — წყვილი ტიფი.
 Пианино — მთვრალია, მაგ-
 რამ...
 Полиглот — იატაკყლაპია.
 Урок — როკთან.
 Форвард забил 15 мячей —
 ფორვარდს დაავიწყდა 15 ბურ-
 თი.




ქართულიდან რუსულად კი—
 მხოლოდ ასე:

Баба — баба
 ერთმანეთი — один рубль
 მიქარვა — мы янтарь
 პილპილი — пили, пили!
 პირკატა — роткот
 სადისტი — садис, ты!

გივი ბოჯგუა

7-84 83-57

ნახ. 3. ლომიძისა



თეთრი სახლის მებაჟოროზა



სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 2 (1660), ანგარი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი).
ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზალი
ზართია, ზორის გურგუ-
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-
ვაზ თვარაძე, ჯემალ ლო-
ლუა, ნოდარ მაღაზონია
(მხატვარ - რედაქტორი),
ალექსანდრე სამხონია,
ხუფან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფწივაძე, ნაფი ჭუხუთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 27. 12.
83 წ. ხელმოწერილია და
საბეჭდად 23. 1. 84 წ. ქა-
ლალის ზომა 60X90¹/₂,
ფინიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი, 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,7, სა-
ქართველოს კპ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14
შეკვეთა №2971. უფ 06420
ტირაჟი 138.300. ჟურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8 რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან - მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
იწამისი 76137